თამარ გოგოლაძე

გსსუ ჰუმ. მეცნ. ფაკ.

პროფესორი, ფილ. მეცნ. დოქტორი

პოეტის თვალით განჭვრეტილი ილიას მითი

შესავალი: ილია ჭავჭავაძის პიროვნება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ერმა მითოსურ საბურველში გაახვია. ამით აიხსნება, ტომებად არსებულ მეცნიერულ გამოკვლევათა ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალის გარდა, მასზე ბიოგრაფიული რომანის შექმნის აუცილებლობაც. თავად ილია საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო. საკუთარი ავტობიოგრაფიის არარსებობაც ამით აიხსნება. მოგვიანებით ერთ პერიოდში ნიპილისტურმა დამოკიდებულებამ ილია ჭავჭავაძის მიმართ დროებით შეაფერხა პოეტის, მოაზროვნის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის შესახებ მეცნიერული კვლევის პროცესიც.

დგება კითხვა: როგორ უნდა წარმოჩინდეს ილია არსებული მასალის მიხედვით და რა ჟანრობრივ სპეციფიკა შეესატყვისება მის შესახებ არსებულ ნაშრომს?

ბუნებრივია, თვით XIX საუკუნიდან მოყოლებული მწერლის ვრცელი ბიოგრაფიის გარდა საფუძველი ეყრება ლიტერატურულ ბიოგრაფიულ რომანს. ლიტერატურულ ბიოგრაფიულ რომანზე საუბრისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას რამდენად დოკუმენტურია იგი და რამდენად მწერლის ფანტაზიით გაფართოებულ-გაშლილი. ერთი რამე კი ცხადია, რომ იგი დოკუმენტური პროზაა. მაგრამ დოკუმენტურ პროზაში ესეის სახეც კიდევ უფრო სპეციფიკურია. „ესეი (ინგ. essay-ნარკვევი) - ლიტერატურული, პუბლიცისტიკური, კრიტიკული, ფილოსოფიური, ისტორიული და სამეცნიერო ხასიათის ნარკვევების ერთობლიობა“. (ა. ჭილაია 1971,143). ამ განსაზღვრებაში თითქოს გაიგივებულია ესეი და ნარკვევი. მაგრამ ნარკვევი კიდევ განსხვავდება ესეისგან, განსაკუთრებით ლიტერატურული ესეისგან.

ყოველივე ზემოთქმული იმისთვის დაგვჭირდა, რომ განგვესაზღვრა პოეტ, ლიტერატურამცოდნე შოთა ზოიძის 1997 წელს ილია ჭავჭავაძის შესახებ გამოცემული ნაშრომის „საქართველოს გოლგოთა“ ჟანრობრივი სპეციფიკა.

შოთა ზოიძე, (1941-2021) პოეტი, მეცნიერი, მთარგმნელი გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოდის სამწერლო ასპარეზზე პირველი წიგნით „სიახლოვე“ (1968). ავტორია სხვადასხვა პოეტური კრებულისა, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარისა“ და გაზეთის თანამშრომელი. ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ავტორია მრავალი წერილისა თუ კრიტიკული სტატიისა, სხვადასხვა დროს მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ღირსების ორდენისა და სახელმწიფო პრემიის კავალერი, ბათუმის საპატიო მოქალაქე, რომელიც 2021 წლის დეკემბერში შეიწირა კოვიდპანდემიამ. იგი ავტორია ილია ჭავჭავაძის შესახებ ესეისტური ნაშრომის „საქართველოს გოლგოთა“. 2002 წელს დაიწერა პატარა ლექსი „ილია წიწამურში“, სწორედ ამიტომ ჩვენს მოხსენებას წარვუმძღვარეთ ეს ლექსიც:

მე დავიბადე ძალიან ადრე
შენ დაიბადე ძალიან გვიან,
აუგს, რომელიც ჩემს მამულს ვკადრე,
მხოლოდ კეთილი სურვილი ჰქვია.

ოქროს აკვანი მე ჩავდგი ტბაში,
შენ გააღვიძე ყრმა იგი აწი,
ჩემო კალამო, რათ გინდა ტაში,
წიწამურია როდესაც თვალწინ?!

თვით ავტორი შ. ზოიძე ერთგან შენიშნავს, „სამწუხაროდ, დღესდღეობით არ გვაქვს, მისი სრულყოფილი ბიოგრაფიული რომანი, როგორც ამბობენ „ბიოგრაფიული კრიტიკა“, როგორც ჩანს იგი ღირსეულ კალამს ელოდება“ (შ. ზოიძე, 1997,115).

თუმცა 1982 წელს უკვე გამოსული იყო ალექსანდრე კალანდაძის ტრილოგიის („ნეიშნის ფიცი“, „შარავანდედი“). მესამე ტომი - ილია ჭავჭავაძის შესახებ ლიტერატურული ბიოგრაფიული რომანი „გარდამოხსნა“. უკვე გვიან 21-ე საუკუნეში, 2020 წელს, კი იქმნება ლიტერატურული ბიოგრაფიული რომანი როსტომ ჩხეიძისა „მუხა უდაბნოში“, ანუ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა“. ლიტერატურული

ბიოგრაფიული რომანია შოთა ზოიძის „საქართველოს გოლგოთა“ თუ სხვა რომელიმე სახეობის დოკუმენტური პროზა, ეს საკითხი იქნება მიმოხილული წინამდებარე ნაშრომში.

<u>გამოყენებული მეთოდები.</u> ისტორიული, ანალიზის.

<u>ძირითადი ნაწილი</u>. წიგნის „საქართველოს გოლგოთა“ ავტორს ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია ილია ჭავჭავაძის შესახებ არსებული საკმაოდ ვრცელი, 30 დასახელების ხელნაწერი თუ ბეჭდური ლიტერატურა მოგონებების, მემუარების თუ საგაზეთო -საჟურნალო პუბლიკაციების სახით, შეუგროვებია ვრცელი ფოტო - მასალა (არქივებიდან), მოუვლია ილიას ადგილები და პოეტური ფანტაზიის მოშველიებით გაუსიგრძეგანებია ილიას ფენომენი.

მაინც როგორ ესახება ეს ფენომენი XX საუკუნის ავტორს? როგორ წარმოუდგება ილიას ბიოგრაფია მის შემოქმედებასთან ერთად საზოგადოებისათვის ილიას, რომ რეალური და, ამავდროულად, მითიური არსება, რომელსაც იცნობდნენ თანამედროვენი, მოგონებებში არაერთგზის საუბრობენ მის შესახებ, მეგობრობენ თუ მტრობენ.

ავტორი ნაშრომის წინასიტყვაობაში თვითონ აფიქსირებს დოკუმენტური პროზის ამ ჟანრს: „წიგნი არ არის მეცნიერული გამოკვლევა. მისი აგებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავტორის თავისუფალი აზრები ესეისტური პროზის კალაპოტში მოედინება. მიუხედავად იმისა, რომ ზღვა მასალა არსებობს, დიდი მწერლის მოწამეობრივი ცხოვრება და სიკვდილი მომავალშიც გახდება მძაფრი განსჯის საგანი. ეს წიგნიც ამისი მაგალითია“. (შ. ზოიძე 1997,5). თუმცა წიგნის რედაქტორი დავით თევდორაძეა, წინასიტყვაობა ავტორისაა თუ რედაქტორის, უცნობია. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, შ. ზოიძე ეთანხმებოდა წინასიტყვაობის ავტორს. თუმცა ამისი მტკიცებით ფორმა თავად ნაშრომი უნდა გახდეს.

უპირველესად, როგორ იყენებს ავტორი ილიას ბიოგრაფიას. წარმოსდგება თუ არა იგი ლეგენდარულ პიროვნებად, თუ რეალურად მის თანამედროვეთა ან მომავალი თაობებისათვის? ჩვეულებრივი მოკვდავის მანტია „მოასხა“ ილიას მხრებზე ნაშრომის ავტორმა, ამას ფაქტები, დოკუმენტური ფაქტები ადასტურებს: წარმოშობა, დაბადება, სწავლა, სამსახური, ოჯახური მდგომარეობა, გარდაცვალება. თუმცა ყოველი ფაქტის უკან შემალული რეალური იერსახის ჩვენება ავტორმა მაინც შეძლო. ამას ხელს უწყობს

პროლოგი, 15 თავი და ეპილოგი, რომლის დასათაურება და ილიასაგან მოხმობილი ეპიგრაფი მეტ ვიზუალიზაციას ჰმატებს ნაფიქრ-ნათქვამს. „ოქროს აკვანი“, „მზიანი ჩრდილი“, „მუხის ფოთოლი“ და სხვ. თითქოს აქ ჩვეულებრივი დახასიათებაა, მაგრამ სხვაგვარად გაშლილ განფენილი მაგალითისათვის კარგად გამოდგებოდა თავი II – „სულის ღონე“: ილიამ „სამოცდაათიანი წლებიდან ინტელიგენციას მოახედა და ქართული აზროვნება ასოთხმოცი გრადუსით შემოაბრუნა სამხრეთ საქართველოსაკენ. ილიამ იცის სად იწყება და სად თავდება მამა-პაპათა სისხლით მორწყული მიწა-წყალი“ (შ. ზოიძე, 1997:135). აქ ისიცაა მინიშნებული, რომ მარტო, მარტოდმარტო მოღვაწე ილია თავის გუნდთანაა, რომელშიც შედიან ძველნიც (გრ. ორბელიანი) და ახალნიც. აქვეა აჭარის შემოერთების საკითხიც და მერე როგორ გაშლილი! ავტორი ხაზს უსვამს „ოსმალეთის საქართველოს“: „უჭირს საქართველოს, მაგრამ კიდევ უფრო უჭირს მასთან ახლად დაბრუნებულ მხარეს. სამას წელიწადს უსამშობლოდ ყოფნამ და სხვათა ლუკმის შემყურეობამ გარკვეული დაღი დაასვა აჭარელთა ყოფას“. (შ. ზოიძე, 1997: 142).

როგორ შეიქმნა პირველი სკოლა ბათუმში 1881 წლის 23 მარტს, როგორი მოსწავლეები აღუზარდა აჭარასა და მთელ საქართველოს ამ სკოლამ. „ილია ჭავჭავაძის სკოლიდან გამოვიდა შემდგომში მისი გზის გამაგრძელებელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო მწერალი და პუბლიცისტი - მემედ აბაშიძე (შ. ზოიძე, 1997:148).

ასე გამოკვეთს მემედ აბაშიძის როლსაც ავტორი მისი და მასზე მოგონებით: „გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს“ (შ. ზოიძე, 1997:151).

ხან ფოტოთი ხსნის სათქმელს პოეტი, ხან სათქმელს ფოტოთი ადასტურებს.

ძნელად თუ მოიძებნება ერთად შეკრებილი ამდენად მრავალი ცნობილი თუ უცნობი ეპითეტი ილიას დასახასიათებლად: „უგვირგვინო მეფე“, „მთელი სიცოცხლის მანძილზე აჭარის ხნულში იდგა და ღრმა კვალი გაჰქონდა. მარად და ყველგან აჭარასთან იყო და ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ყურადღების მიღმა“, „მან წინა პლანზე დააყენა მოვალეობა, მოვალეობა და შემდეგ კი უფლებები“, „ილია პროზაში ფერმწერია, პოეზიაში

- მოქანდაკე, პუბლიცისტიკაში - გრაფიკოსი. ილია დიდი მხატვარია, თანაც რეალისტი“, მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში პირველად ილიამ დააკისრა პოეტს ერის წინამძღოლობა, თუ „ყვარლის მთებს“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პროლოგია, „ბაზალეთის ტბა“ მისი ლირიკული შთაგონების ეპილოგად უნდა ჩაითვალოს“ და სხვა უამრავი შედარება, ანალიზში გასიგრძეგანივებული გამოთქმა თუ სისხლის დაშრეტამდე მისული თანაგრძნობა სცადა ჩაეტია ავტორმა თავის ნათქვამებში, თავისებურ გახსნაში ილიას შემოქმედებისა. რას გრძნობს პოეტი? იმას, რასაც ილია, უფრო ზუსტად გადადის ერთის სისხლი მეორეში და ბრუნდება უკან. ესაა პოეტური შთაგონების ხატის პროზაული განფენა. იქნებ ჭარბია ეს შენიშვნა პოეტისათვის, რომელიც ჩაღრმავებია ილიას ფენომენს, ილიას მითოსურ სამყაროს, რომელიც არამცთუ მეოცე, 21-ე საუკუნეშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

მეორდება კითხვა ჟანრის თაობაზე დოკუმენტური პროზის რა სახეობაა „საქართველოს გოლგოთა“? რასაკვირველია, ესეი, ლიტერატურული ესეი, რომელიც მიუხედავად 1000 ტირაჟისა, მაინც მცირედ არის ცნობილი ილიასმცოდნეობაში. ეს კი შეძლო პოეტმა, რომელსაც სურდა გამოეძერწა მითოსური ილია როგორც რეალური და, ამავდროულად, გენიოსის მხრებით კარიატიდული ფიგურა, რომელმაც იტვირთა ვალი წუთისოფლისა მამულის წინაშე. შ. ზოიძის ესეი ამის დასტურია.

<u>დასკვნა.</u> შოთა ზოიძის ნაშრომი „საქართველო გოლგოთა“ წარმოადგენს დოკუმენტური პროზის ერთ სახეს - ლიტერატურული ესეის, რაც შედარებით და დასაბუთებულად სიახლეა როგორც ილიასმცოდნეობის, ისე ესეისტიკისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზოიძე, შოთა. 1997 , **„საქართველოს გოლგოთა“**, ბათუმი, „აჭარა“.
2. ჭილაია, ანდრო. 1971, **ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები**, თბილისი, თსუ გამომცელობა,;

თამარ გოგოლაძე

გსსუ ჰუმ. მეცნ. ფაკ.

პროფესორი, ფილ. მეცნ. დოქტორი

პოეტის თვალით განჭვრეტილი ილიას მითი

რეზიუმე

ილიას პიროვნება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ერმა მითოსურ საბურველში გაახვია. ამით აიხსნება ტომრებად არსებულ მეცნიერულ გამოკვლევათა ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალის გარდა ლიტერატურულ ბიოგრაფიული რომანების (ა. კალანდაძე, რ ჩხეიძე) არსებობაც. მაგრამ, იქნება ჟანრობრივად ესეისტურ ფორმაში წარმოდგენილი, მიესადაგება მითოსური პიროვნების იერსახეს? ასეთი ნაწარმოები კი მწერლური, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულის გამოეშუქება ნაკალმევიდან. შოთა ზოიძის (1941-2021) „საქართველოს გოლგოთა“ XX საუკუნის დასასრულს შეიქმნა (1997 წ.) და ბათუმში გამომცემლობა „აჭარამ“ დასტამბა ოქროცურვილი ნაპირებით, პოლიგრაფიული გამორჩეულობით, ფოტოილუსტრაციებით შემკული. მთავარი მაინც პოეტის თვალით განჭვრეტილი ფენომენია, რომელსაც ავტორმა იმ მოქმედების სტიმულატორი უწოდა, რაც თავისი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენდა. ავტორმა სწორი ესსეის ფორმა მოუძებნა ილიას მითს, რომლის ანალიზიც წარმოდგენილი იქნება წინამდებარე მოხსენებაში.

The Myth of Ilya Envisioned by the Eyes of the Poet

Resume

The nation wrapped Ilya's personality in a mythical veil Throughout his life. This explains the existence of literary biographical novels in volumes in addition to the bibliographic list of scientific studies (A. Kalandadze, R. Chkheidze). But will it be presented in a genre-essay form suitable for the appearance of a mythical person? Such a work will be completed by someone gifted with writing and poetic talent. Shota Zoidze's (1941-2021) "The Calvary of Georgia" was created at the end of the 20th century (1997) and was printed in Batumi by the publishing house "Achara" with gilded edges, polygraphed distinction, and

decorated with photo illustrations. The main thing is the phenomenon foreseen by the eyes of the poet, which the author called the stimulator of the action, which was the life source of his country and people. The author found the right essay form for the myth of Ilya, the analysis of which will be delivered in the presented paper.